# 2008 წ. აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობის სამართლებრივ საჭიროებათა აღწერა

დევნილთა სამართლებრივი საჭიროებების შეფასება ჩატარდა 2008 წლის აგვისტო-ოქტომბერში, შემდეგ კომპაქტურ ცენტრებში:
ქ. თბილისი:
ისნის ყოფილი რუსული სამხედრო ჰოსპიტალი, (1500 დევნილი);
ყოფილი სამხრეთ კავკასიის სამხედრო ოლქის შენობა (1700 დევნილი);
ქ. გორი:
საბავშვო ბაგა-ბაღები: #1 (თოიძის ქ. #2), #2 (მეჯვრისხევის ქ. #20), #13 სკოლა-გიმნაზია (ჭანტურიას ქ.#7); „კარვების ქალაქი" (სულ 100 დევნილი ქალი).

28 ოქტომბერი,

2008 წ.

28 ოქტომბერი, 2008 წ.

# 2008 წ. აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობის სამართლებრივ საჭიროებათა აღწერა

## პრეამბულა

საქართველოში 90-იანი წლებიდან მოყოლებული შეიქმნა იძულებით გადაადგილებულ პირთა კატეგორია, რაც გამოწვეულ იქნა შეიარაღებული კონფლიქტებითა და 2008 წ. აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებით.

მშვიდობიანი მოსახლეობის ეს კატეგორია ჩვენი შეფასებით არ სარგებლობს საერთაშორისო კონვენციებითა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით, რაც განმოწვეულია რიგი ობიექტური და სუბიუექტური მიზეზებით.

დროთა განმავლობაში ხდება მოსახლეობის ამ კატეგორიის მარგინალიზაცია, მათი ეკონომნიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობისა და ზოგადად, ქვეყანაში არსებული ვითარების გამო. მთელ რიგ შემთხვევაში მთავრობა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები ვერ ან არ ახორციელებენ კანონით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ამ კატეგორიის ადამიანთა მიმართ, ხოლო იმის გამო, რომ რეალობაში ეს ადამიანები მოკლებულნი არიან სამართლებრივი დაცვის ელემენტარულ საშუალებებს, ისინი ვერ ახორციელებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებს.

ჩვენი ორგანიზაცია მუშაობს რა დევნილთა და სხვა მოწყვლად ჯგუფთა და ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლთა დაცვისა და სამართლებრივი მომსახურების მინმართულებით, მივიდა დასკვნამდე, რომ აუცილებელია დევნილი პირებისათვის აუცილებელი და ხშირად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უფლებებისათვის კომპლექსური მიდგომების შემუშავება და გრძელვადიანი პროგრამის სახით მათი განხორციელება.

ქვემორე ანალიზის მიზანია, რაც შეიძლება ფართოდ მოიცვას დევნილთა სოციალური და სხვა სახის უფლებების სამართლებრივი დაცვის საჭიროებები სამართლის სხვადასხვა სფეროს მიხედვით და გამოიკვეთოს შესაბამისი სამართლებრიუვი დახმარების გაწევის შესაძლებლობები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სამართლებრივი საჭიროებების შეფასების მეთოდოლოგიაში განვიხილავთ ჩვენს მიერ გამოყენებულ ინსტრუმენტებს: კითხვარი, პირისპირ ინტერვიუ, ჯგუფური შეხვედრები კომპაწტურ ცენტრებში, ინდივიდუალური კონსულტაციები ორგანიზაციის ოფისში და დევნილთა განსახლების ადგილებზე.

დევნილთა სამართლებრივი საჭიროებების შეფასება ჩატარდა 2008 წლის აგვისტო-ოქტომბერში შემდეგ კომპაქტურ ცენტრებში:
ქ.თბილისი: ისნის ყოფილი რუსული სამხედრო ჰოსპიტალი, (1500 დევნილი);
ყოფილი სამხრეთ კავკასიის სამხედრო ოლქის შენობა (1700 დევნილი);
ქ.გორი: საბავშვო ბაგა-ბაღები №1 (თოიძის ქ.№2) №2 (მეჯვრისხევის ქ.№20) №13 სკოლა-გიმნაზია (ჭანტურიას ქ.№7); და კარვების ქალაქი (სულ 100 დევნილი ქალი).



ლ.ასათიანის ქ. №10, თბილისი 0105, საქართველო ტელ/ფაქსი: 988 695

## ოფიციალური სტატისტუკური მონაცემები დევნილთა შესახებ

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის მონაცემით (20 ოქტომბრის მდგომარეობით[1]) დევნილთა[2] რაოდენობა:

**თბილისში:**
დევნილთა ოჯახების რაოდენობა: 14,956 ოჯახი.
დევნილთა რაოდენობა: 40,282 დევნილი
**მათ შორის**
ქალი – 13,921 (ფეხმძიმე ქალი: 167)
მამაკაცი – 10,565

18 წლამდე ასაკის: 9,389, დევნილი
18 წლის ზემოთ: 4,860 დევნილი

**რეგიონებში:**
დევნილთა ოჯახების რაოდენობა: 1,394 ოჯახი (დაუზ.)
დევნილთა რაოდენობა: 21,776
**მათ შორის:**
ქალი – 694 (დაუზ.) ფეხმძიმე 18 ქალი (დაუზ.)
მამაკაცი – 598 (დაუზ.)

18 წლამდე ასაკის: 772, დევნილი (დაუზ.)
18 წლის ზემოთ: 212 დევნილი (დაუზ.)

სულ: 62,058 დევნილი 2008 წ. 20 ოქტომბრისათვის

ზემოთ მოყვანილი მონაცემები ცვლადია, რადგან დღევანდელი დღის ჩათვლით დევნილთა მოძრაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. გავრცელებულია ინფორმაცია, რომ მაგ. ახალგორიდან და გალიდან გამოდის მშვიდობიანი მოსახლეობა, ისინი ტოვებენ საკუთარ საცხოვრებელ სახლებს. ამიტომ, რაოდენობრივად ჯერ ვერ ვისაუბრებთ საბოლოო რიცხვზე.

## სამართლებრივი საჭიროებები

## 1. ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხი

ის პირები, რომლებიც აგვისტოს ომის მოქმედებების გამო იძულებულნი იყვნენ, რომ დაეტოვებინათ კუთვნილი საცხოვრებელი ადგილი, დროებითი თავშესაფარის მისაღებად გადაადგილდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აგვისტოს პირველივე დღეებიდან დაიწყო მათი რეგისტრაცია შესაბამის სახელმწიფო უწყებაში. რეგისტრაცია მდგომარეობდა საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებაში ყოველ ოჯახზე.

დღესდღეობით ამ მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ კომპაქტურად განსახლების ცენტრებში იმყოფება, ვერ სარგებლობს საქართველოს კანონით 'იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ'[3].

მათ არ გააჩნიათ ამ კანონის შესაბამისად გათვალისწინებული არც დევნილის სტატუსის მაძიებელი პირის და არც დევნილის უფლებებისა და მოვალეობები.

[1] http://www.mra.gov.ge/xls_files/list.htm;
[2] ყურადღებაა გასამახვილებელი ტერმინოლოგიაზე 'დევნილები', რომელსაც ოფიციალურ დოკუმენტებში (ელექტრონულ და ბეჭდურ სამთავრობო მასალებში) დღეს მხვდებით, თუმცა დევნილის სტატუსის საკითხი ჯერ ისევ გადაუჭრელია.
[3] საქართველოს კანონი 'იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ', 2006 წ. 1996 წ.



ლ.ასათიანის ქ. №10, თბილისი 0105, საქართველო ტელ/ფაქსი: 988 695

ეს საკითხი უკვე იძენს სიმწვავეს, რადგან, ერთის მხრივ მათ მიმართ ოფიციალურად გამოიყენება ტერმინი 'დვნილები' (სახელმწიფო უწყებების ოფიციალური ვებგვერდები, ოფიციალურ პირთა განცხადებები), ხოლო მეორეს მხრივ, ეს მოსახლეობა ისედაც დაზარალებული ომის შედეგად, კანონთან მიმართებაში თანაბარ მდგომარეობაში არ არის ჩაყენებული. აქ იკვეთება დისკრიმინაციის საკითხი '90-იანი წლების დევნილებსა და დღევანდელ დევნილებთან მიმართებაში.

<u>სამართლებრივი დახმარების ფორმა:</u>

1. განცადებით უნდა მიემართოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს (ან მის ქვემდებარე ტერიტორიულ ორგანოს;
ა. დოკუმენტაციის მომზადება;
ბ. უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოში გასაჩივრება;
ც. ევროსასამართლოში მიმართვა შიდა მექანიზმების ამოწურვის შემდეგ;
დ. გაერო-ს, ეუთოს-ა და ევროპის საბჭოს, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებისადმი მიმართვა;

## 2. სიცოცხლის უფლება

აგვისტოს ომის შედეგად გარდაცვლილი მშვიდობიანი მოსახლეობა ოფიციალური მონაცემებით 228 ადამიანია. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ოფიციალური პასუხის შესაბამისად 2008 წ. 9 ოქტომბრის მდგომარეობით სახელმწიფოს მიერ გაცემულია 95 ოჯახზე 10.000 ლარის ოდენობის ერთჯერადი ფულადი დახმარება ყოველი ოჯახისათვის. (სულ 950.000 ლარი).

დანარჩენ ოჯახებზე ჯერ არ გაცემულა დახმარება. სავარაუდოდ წერილობითი დოკუმენტაციის მოუწესრიგებლობის გამო.

საქართველოს მთავრობის განკარგულება №547 (25 აგვისტო, 2008წ) განსაზღვრავს, რომ დაღუპულთა ოჯახებს მიეცემათ ერთჯერადი ფულადი დახმარება 10.000 ლარის ოდენობით.

კანონქვემდებარე აქტში არ არის გათვალისწინებული ის შემთხვევები, როდესაც ოჯახში ერთზე მეტია დაღუპული.

<u>სამართლებრივი დახმარების ფორმა:</u>
1. განცხადებით ფულადი დახმარების შესახებ უნდა მიემართოს ადგილობრივ ხელისუფლებას;
ა. დახმარება განცხადების და სხვა დოკუმენტაციის მომზადებაში
ბ. დახმარების გაუცემლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება

## 3. უგზო-უკვლოდ დაკარგულები

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით დღეისათვის 29 მებრძოლია დაკარგული.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისია საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 18 მარტის

#218 ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა. სახელმწიფო კომისია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 დეკემბრის #1067 ბრძანებულებით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაექვემდებარა.

**შეღავათები**

უგზო-უკვლოდ დაკარგულ და დაღუპულ პირთა ოჯახის წევრთა სამედიცინო მომსახურების მიზნით სახელმწიფომ სპეციალური სადაზღვევო სისტემა პოლისების სახით შეიმუშავა. ფსიქოლოგიური დახმარებისათვის შქმნილია სარეაბილიტაციო ცენტრი. ამ საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციები – "წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური" ცენტრი, სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი", "თანადგომა" და "ამქორი" მუშაობენ.

სახელმწიფო კომისიის მხრიდან ფინანსური და ადმინისტრაციული დახმარების მიზნით უგზო-უკვლოდ დაკარგულ და დაღუპულ პირთა ოჯახები ყოველწლიურად მატერიალური და სოციალური შეღავათებით სარგებლობენ. კანონმდებლობიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის დახმარებებს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ და დაღუპულ პირთა ოჯახის წევრებისათვის იურიდიული საკითხების (მემკვიდრეობა, ქონების მართვა, პენსია, სოციალური დაზღვევა) მოგვარებას გარკვეული შეღავათებით საქართველოს კანონმდებლობა და შესაბამისი ნორმატიული აქტი არეგულირებს.

<u>სამართლებრივი დახმარების ფორმა:</u>

1. მიმართვა საგამოძიებო ორგანოებისადმი ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებებისა და ყველა სხვა საშუალებების ამოწურვის თაობაზე, რასაც უნდა უზრუნველეყო დაკარგული პირის ბედ-იღბლის გარკვევა (რაც ყველაზე მეტად აწუხებთ დაკარგულთა ოჯახის წევრებს).
2. უგზო-უკვლოდ დაკარგულის სტატუსის მინიჭებისთვის და პირის გარდაცვლილად გამოცხადებისათვის სასამართლოსადმი მიმართვა;
3. განცხადებით ფულადი და სხვა სახის დახმარების შესახებ უნდა მიემართოს შესაბამის ორგანოებს;

ც. დახმარება განცხადების და სხვა დოკუმენტაციის მომზადებაში;

დ. დახმარების გაუცემლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში;

## 4. უსაფრთხოების უფლება

დევნილთა დაბრუნების პროცესში უსაფრთხოების საკითხი პრობლემატური რჩება: უპირველესი პრობლემა არის ომის პერიოდში საქართველოს რაიონებში რუსი ოკუპანტების მიერ გამოყენებული საბრძოლო აუფეთქებელი მასალების ნარჩენები. ასევე, ომის დროსა და საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ ე. წ. სამშვიდობო და ყოფილი 'ბუფერულ ზონების' სოფლებში აღმოჩენილი ნაღმები, რომლებიც დღესაც გასაუვნებლია და საფრთხეს უქმნის დაბრუნებული მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

უსაფრთხოების პრობლემაში ასევე აქტიურად მოიაზრება მოროდიორების პრობლემა, რამდენად არის დაცული გორის რაიონში დაბრუნებული მოსახლეობა ცხინვალის რეგიონის უკონტროლო ტერიტორიების მხრიდან მოროდიორების თავდასხმებისაგან, რათა არ დაიწყოს მკვლელობების, ადამიანთა გატაცების, შეურაცხყოფის, ძარცვა-ყაჩაღობის ახალი ტალღა ქართული მოსახლეობის მიმართ.



ლ.ასათიანის ქ. №10, თბილისი 0105, საქართველო ტელ/ფაქსი: 988 695

დემარკაციის პრობლემა: ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი სად გადის სადემარკაციო ხაზი და რომელი ტერიტორიებია რჩება ოკუპირებულად. სულ მალე ძალაში შევა ახალი კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. თუმცაღა, სანამ ახალი კანონი9 ამოქმედდება, ე.წ. 'დაბრუნებული' მოსახლეობა რჩება რეალური საფრთხის ქვეშ და ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება ვერ ახორციელებს სრულ იურისდიქციას ამ ტერიტორიებზე, უსაფრთხოების უფლების განხორციელება ძალზე მწვავე პრობლემად რჩება.

<u>სამართლებრივი დახმარების ფორმა:</u>

1. სახელმწიფო შესაბამისი ორგანოების მიერ უსაფრთხოების ზომების უგულებეყოფის შემთხვევაში მათ წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების მისაღებად ჯერ ადგილობრივი ძალოვანი უწყებებისა და პროკურატურისადმი მიმართვა, ხოლო მათი უმოქმედობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვა;
2. უსაფრთხოების ზომების უგულერბელყოფის შემთხვევაში გამოვიყენებთ საერთასორისო სამართლებრივ მექანიზმებს.

## 5. საკუთრების ხელშეუხებლობის უფლება

აგვისტოს მოვლენებმა უმეტეს წილად ასახვა ჰპოვა ომის გავრცელების არეალში მოხვედრილი ოჯახების ეკეონომიურ მდგომარეობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს მიერ არ მოხდა მოსახლეობის მასობრივი ინფორმირება საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ, უშუალოდ ომის დროს საკუთარი სახლებიდან გამოქცეული მოსახლეობა იძულებული იყო, საკუთარი სახლები სპონტანურად და ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე დაეტოვებინა. მოსახლობამ ვერ შეძლო ელემენტარული ტანსაცმელისა და პირადი დოკუმენტების გამოტანაც კი, ამას თან დაერთო დაბომბვებისა და მოროდიორების თარეშის შედეგად გადამწვარი სახლები, დატაცებული და დაზიანებული ქონება.
დედაქალაქსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში თავშესაფრის და დახმარების მომლოდინე მოსახლეობა მალე სხვა ახალი პრობლემის წინაშე დადგა: ბანკიდან გამოტანილი სესხების დაფარვისა და ზოგ შემტხვევაში საგადასახადო დეკლარაციის წარდგენის დაგვიანებაზე ჯარიმის პრობლემა.

ცხადია, რომ აღებული სესხების ძირითადი ნაწილი გაზაფხულის პერიოდში მოსახლეობამ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო საჭიროებებისათვის გამოიტანა საქართველოს სხვადასხვა ბანკებიდან, რომელთა პროცენტის გადახდასა და დაფარვასაც ისინი ვარაუდობდნენ აღებული მოსავლის რეალიზაციის შედეგად. ისიც ცხადია, რომ არსებულ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში, როდესაც საომარი მდგომარეობის დროს ომის გავცელების არიალზე სრულიად განადგურდა სასოფრო სამეურნეო ნაკვეთები, დაიწვა მოსავალი, ხოლო რაც გადაურჩა დაბომბვებს, დატაცებულ იქნა მოროდიორების მიერ, სრულიად ყოველგვარი ფინანსური საშუალების გარეშე დარჩენილი ადგილობრივი მოსახლეობისთვის უკიდურესად რთული იქნება არსებული სესხების დაფარვა და თუნდაც სესხის პროცენტის გადახდა.

<u>სამართლებრივი დახმარების ფორმა:</u>

1. საკუთრების უფლების დაცვის მიზნით ადგილობრივი სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვა შიდა სამართლებრივი მექანიზმების ამოწურვის მიზნით;
2. შესაბამისი სახელმწიფო უწყებისადმი მიმართვა შექმნილი ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო მოქალაქეების მიერ აღებულ საბანკო სესხებთან დაკავშირებით



ლ.ასათიანის ქ. №10, თბილისი 0105, საქართველო ტელ/ფაქსი: 988 695

შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ; (სახელმწიფო კომპენსაცია ან გრძელვადიან სესხთა ნუსხაში გადატანა)

3. ევროსასამართლოსადმი მიმართვა ქვეყნის შიდა სასამართლო მექანიზმის არაეფექტურობის შემთხვევაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურების, მიუღებელი შემოსავლის კომპენსაციის თაობაზე.

## 6. ჯანმრთელობა, შრომა, სოციალური უზრუნველყოფა

*{მათ შორის: ჯანმრთელობის აღდგენა, ფსიქოლოგიური, სამედიცინო დახმარება, პოლისები, შრომითი უფლებები, ყოველთვიური დახმარებები, თვითდასაქმება საკუთარ მეურნეობაში}*

დევნილთა უფასო სამედიცინო მომსახურების მიმართულება და წამლების ხელმისაწვდომობის საკითხი პრობლემატურია. დღემდე ბევრისთვის გარკვეული არ არის, მაგალითად ანალიზების საფასურის საკითხი. თუმცა ასევე პრობლემატურია პოლისის მქონე ადამიანებისთვის უფასო გარანტირებული მომსახურების მიღება.

*მე-5 პუნქტში მითითებული საკითხები ბუნებრივია პრობლემატურად დგას იძულებით გადაადგილებული პირებში, ვინაიდან ისინი არ არიან დევნილად ცნობილი პირები და არ აქვთ ოფიციალურად "დევნილის" სტატუსი, რაც დისკრიმინაციაში აყენებს 90-იანი წლების დევნილებთან მიმართებაში.*

*დევნილია (იძულებით გადაადგილებულთა) საქართველოს მოქალაქე, რომელიც იძულებულია დატოვოს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილდეს საქართველოს ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა თვითონ და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს.*

*სახელმწოფოს მიერ (კონკრეტულ შემთხვევაში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო) საქართველოს "იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად" ... მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება ხდება დაუყოვნებლივ", თუმცა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად ექსტრემალურად იძულებით გადაადგილებული პირებისათვის სამინისტროს მიერ, მხოლოდ დროებითი საცხოვრებელი ადგილით დაკმაყოფილება მოხდა და აგრეთვე სამოქალაქო რეესტრმა მოახდინა მათი ასე **ვთქვათ აღრიცხვა და საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭება თითოეულ ოჯახზე.***

*გაცილებით ადვილი იქნებოდა ამ პირებისათვის ზემოთჩამოთვლილი პრობლემური საკითხების გადაჭრა და შესაბამისად იმ პრობლემური და დარღვეული საკითხებისა და უფლებების მოგვარება თუ რა თქმა უნდა მათ ექნებოდათ დევნილის სტატუსი, ისინი ფაქტიურად არ არიან ჩვეულებრივი ფიზიკური პირები - შესაბამისი უფლებებით და არ არიან სტატუსის მქონე პირები - კანონით გარანტირებული უფლებებითვე.*

*მათ მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ იძულებით გადაადგილებულ პირებს ოფიციალურად არ გააჩნიათ დევნილის სტატუსი, ისინი სახელმწიფოსა და ოფიციალური ორაგანოების მიერ იწოდებიან "დევნილებად", მათ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აქვთ რეგისტრაცია გავლილი და აგრეთვე მინიჭებული აქვთ საიდენტიფიკაციო კოდი.*



ლ.ასათიანის ქ. №10, თბილისი 0105, საქართველო ტელ/ფაქსი: 988 695

*საქართველოს კანონი "იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" ითვალისწინებს შესაბამის უფლებებს - ჯანმრთელობის აღდგენას, სამედიცინო დახმარებას, შრომითი უფლებებს, დახმარებებს (ყოველთვიური შემწეობის სახით), დასაქმებას დროებით სარგებლობაში გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით, მხოლოდ სტატუსის მქონე პირებისათვის. სახელმწიფოს მიერ ამ კანონში მითითებული ესა თუ ის უფლებები, რომელთა რეალიზაციას საჭიროებს შექმნილი ვითარება, გარკვეულწილად რეგულირდება, თუმცა რათქმაუნდა ყვალა უფლებათა რეალიზაცია არ ხდება.*

*ვინაიდან იძულებით გადაადგილებუილ პირებს არ აქვთ სტატუსი, ამიტომ ისისნი ვარ იღებენ ვერანაირ ფულად დახმარებას, სამედიცინი დაწესებულებებში ხვდებათ პრობლემები თანხის უქონლობის გამო, მიტოვებული აქვთ თავიანთი სამსახურები, რის გამოც აღარ აქვთ შემოსავალი, მათ დასაქმებაზე პრაქტიკულად არ ზრუნავს სახელმწიფო, ვერ ახორციელებენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და მიღებული მოსავლის რეალიზაციას, რომელიც ამ პირებისათვის თითქმის ძირითად შემოსავალს წარმოადგენდა.*

*უსტატუსო იძულებით გადაადგილებულ პირებს აქვთ პრობლემები – პოლისების, ფსიქოლოგიური დახმარების, რომელთა რეგულირება არ ხდება მითითებული კანონით და ეს ყველაფერი აისახება ამ პირთა მდგომარეობაზე პრობლემის სახით. მნიშვნელოვანია იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ფსიქოლოგიური დახმარება, ვინაიდან ისისნი (განსაკუთრების მცირეწლოვანი პირები) დღემდე სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებიან, მათ აგრეთვე უვითარდებათ ის დაავადებები, რომელსაც იწვევს სტრესული მდგომარეობა.*

*დღეის მდგომარეობით ქაოსურ მდგომარეობაში ჩნდება დევნილთა შორის მრავალი პრობლემა და კითხვა, რომელთა რეგულირებასაც თვითონ ბუნებრივია ვერ ახერხებენ და ვერ ადგენენ შესაბამის უწყებებს, რათა მიმართონ პრობლემად გამხდარი საკითხის გასარკვევად.*

*ამდენად მე-5 პუნქტში მითითებული პრობლემები, რომლებიც აისახება დევნილებზე, იოლად მოგვარებადია თუ მათ ექნებათ შესაბამისი სტატუსი, რომლის მინიჭება ხდება დღეს მოქმედი საქართველოს კანონით "იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" აღნიშნული კანონი ითვალისწინებს ამ პუნქტში მითითებული პრობლერმების მოგვარებას სამართლებრივად ნაწილობრივ.*

<u>**სამართლებრივი დახმარების ფორმა:**</u>

1. ამ კუთხით დოკუმენტაციის შეგროვებაში დახმარება;
2. ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე ადმინისტრაციულ წარმოებაში, *აგრეთვე სამართალწარმოებაში* სამართლებრივი დახმარების გაწევა;
3. სასამართლო წესით დახმარების გაწევა.

## 7. განათლება

სტუდენტებისთვის სწავლების გადასახადებისა და საბავშვო ბაღების საკითხი: დღევანდელი ინფორმაციით გადაწყდა, რომ 100 ლ. გაიცემა მოსწავლეზე ერთჯერადად. ამისთვის უნდა მიემართოს განათლების სამინისტროს.



ლ.ასათიანის ქ. №10, თბილისი 0105, საქართველო ტელ/ფაქსი: 988 695

რაც შეეხება სტუდენტების სწავლების საფასურს, შესაბამის უნივერსიტეტში უნდა მიმართოს განცხადებით გადასახადის მოხსნასთან დაკავშირებით.

<u>სამართლებრივი დახმარების ფორმა:</u>

1. შესაბამისი სახელმწიფო უწყებისადმი მიმართვა შექმნილი ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო მოქალაქეების მიერ აღებულ ვალდებულებაზე, გადაიხადონ განათლების გადასახადი, (სწავლების საფასური) გამოეყოთ სახელმწიფო კომპენსაცია ან უფასო სექტორით დაკმაყოფილება;
2. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში სასამართლოსადმი მიმართვა.

## დასკვნა

ზემოაღნიშნული სამართლებრივინ საჭიროებები, რომელთა აღწერის მცდელობაც ჩვენ გვქონდა, სამართლებრივი დახმარების ფორმების აქტიური გამოყენების გარეშე, დარწმუნებული ვართ, დევნილები ვერ მოახერხებენ მათთვის კანონით გარანტირებული უფლებების განხორციელებას. აღსანიშნავია აგრეთვე ის გამოკვეთილი ტენდენცია, რომელიც ჩვენს მიერვე იქნა დაფიქსირებული საჭიროებების აღწერისას, რომელიც მდგომარეობს დევნილთა მხრიდან პასიური პოზიციისა და შიშის სინდრომის არსებობაში. ერთის მხრივ, ასეთი პასიური და "მომლოდინე" პოზიცია ბუნებრივად დამახასიათებელია ტრამვული და პოსტტრამვული პერიოდის ადამიანთა კატეგორიისათვის. მეორეს მხრივ, ჩვენს მიერ გამოვლინდა რიგი სუბიექტური და ობიექტური შექმნილი გარემოებები, რაც ამძაფრებს შიშის და არასტაბილურობის განცდას.

დევნილთა ამგვარი მოუწყობელი ყოფისა და სამართლებრივი მექანიზმების ქაოსის ფონზე არსებობს რისკი, რომ მოხდეს ამ კატეგორიის პირთა მარგინალიზაცია და რასაც ობიექტურად შეიძლება მოჰყვეს მათი კრიმინალიზაცია, ან/და არალეგალური მიგრაციის ახალი ტალღა. ამიტომ, უპრიანია, დევნილთა სამართლებრივი საჭიროებების სამართლებრივ ჭრილში განხილვა და გადაწყვეტა.

ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც დევნილის სტატუსის მინიჭების საკითხი, რომელიც დღემდე გადაწყვეტილი არ არის და შესაბამისად, არც ერთი აგვისტოს მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებული – დევნილი პირი ამ სტატუსით და აქედან გამომდინარე უფლებებით ოფიციალურად არ სარგებლობს.

სიცოცხლის უფლების დარღვევის ფაქტებზე, ჩვენი ინფორმაციით, დაწყებულია გამოძიება, მაგრამ, სამწუხაროდ ოფიციალურად დაზარალებულად ცნობილი პირები არ არიან დეტალურად ინფორმირებულნი გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ. აქაც აქტიური სამართლებრივი დახმარების გარეშე, მიგვაჩნია, რომ შეუძლებელი იქნება პროცესუალური უფლებების განუხრელი და სწორი განხორციელება. მრავალი დაღუპული პირის ოჯახის წევრისათვის, ეს საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების საქმეთა გამოძიებისა და მათი ბედიღბლის საკითხის გამოძიების თაობაზე დაზარალებულად ცნობილი დაკარგული პირების ოჯახის წევრები არ არიან დეტალურად ინფორმირებულნი გამოძიების მიმდინარეობისა



ლ.ასათიანის ქ. №10, თბილისი 0105, საქართველო ტელ/ფაქსი: 988 695

და შედეგების შესახებ. აქაც აქტიური სამართლებრივი დახმარების გარეშე, მიგვაჩნია, რომ შეუძლებელი იქნება პროცესუალური უფლებების განუხრელი და სწორი განხორციელება. მრავალი დაღუპული პირის ოჯახის წევრისათვის, ეს საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ე.წ. დაბრუნებული დევნილი მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უსაფრთხოების უფლების რეალიზაცია. დღეის მდგომარეობით, ხელისუფლება ვერ ახორციელებს უსაფრთხოების დაცვას, ისევე, როგორც ვერ ახორციელებს იურისდიქციას. მიგვაჩნია, რომ ქმედითი სამართლებრივი დახმარების გარეშე, ყოფილ ბუფერულ და მიმდებარე ზონებში მოსახლეობის უსაფრთხოების საკითხი არ და ვერ გადაწყდება, მათ შორის საერთაშორისო მექანიზმების გამოყენებით.

საკუთრების ხელშეუხებლობის უფლება სრულიად დაუცველია და დღეის მდგომარეობით მცირედი კეთდება ამ მიმართულებით, მაგრამ ინფორმაცია გაწეული ღონისძიებების შესახებ ყველა დევნილისათვის ხელმისაწვდომი არ არის. აქტიური სამართლებრივი დახმარება სასიცოცხლოდ აუცილებელია მიყენებული მატერიალური ზიანისა და მორალური ზიანის კომპენსირების მიზნით. ჩვენი შეფასებით, აუცილებელია საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების აქტიური გამოყენება, კერძოდ, ევროსასამართლოსადმი მიმართვა, იმ შემთხვევაში თუ ქვეყნის შიდა სასამართლო მექანიზმები არაეფექტური აღმოჩნდება. ჩვენი შეფასების შედეგებიც ასევე ადასტურებს, რომ ყველაზე ხშირად ფუნდამენტური უფლების დარღვევა მოხდა სწორედ საკუთრების ხელყოფის ფორმით და ამ უფლების აღდგენა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დევნილი მოსახლეობის სოციალური სტატუსის აღსადგენად.

დევნილის სტატუსის არ ქონა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გარეთ ტოვებს ომის შედეგად დაზარალებულ მშვიდობიან მოსახლეობას. ისინი ვერ სარგებლობენ კანონით მათთვის მინიჭებული ამ უფლებებით და აქტიური სამართლებრივი დახმარების გარეშე, კერძოდ, სასამართლო დავების გარეშე, ვფიქრობთ, ამ უფლებათა განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია.

იგივე შეიძლება ითქვას განათლების უფლების განხორციელების თაობაზე, რაც შეუძლებელია აქტიური სამართლებრივი დახმარების გაწევის გარეშე.

## რეკომენდაციები

1. საერთაშორისო სამართლით ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა განუხრელი შესურლების მონიტორინგი დამოუკიდებელი არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან;

2. ქვეყნის შიგნით არსებული კანონმდებლობის შესრულებაზე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის მონიტორინგი;

3. სასამართლო გადაწყვეტილებების ზუსტი და განუხრელი აღსრულების მონიტორინგი;



ლ.ასათიანის ქ. №10, თბილისი 0105, საქართველო ტელ/ფაქსი: 988 695

4. შესაბამისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ცვლილებების მომზადება და მიღება საერთაშორისო ვალდებულებებისა და მოქმედი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით;

5. მიმდინარე პროცესებში გამოვლენილი თანმდევი სამართლებრივი პრობლემების მოგვარება (დევნილთა შესახებ საკითხების გადაწყვეტილებებში დევნილთა მონაწილეობის, საჯაროობის, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით).

აღწერა მოამზადეს:

**კავკასიის ქალთა ქსელი**
ნინო ციხისთავი, თავმჯდომარე
ნატო ბაჩიაშვილი, იურისტი

**ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი**
ლია მუხაშავრია, თავმჯდომარე
ეკა სოლოდაშვილი, იურისტი
ნიკა კვარაცხელია, იურისტი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ლ. ასათიანის №10
თბილისი 0105, საქართველო
ტელ.ფაქსი: (995 32) 988 695
ელ.ფოსტა:

cwn@cwn.ge; hrpgeorgia@gmail.com